



# ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 19 დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 19.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



# ლოგიკური მსჯელობა

I ვარიანტი

17 დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

1. მოცემულია:

- მხოლოდ ხარისხიანმა პროდუქტებმა მოიგო მომხმარებელთა გული.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ყოველმა ხარისხიანმა პროდუქტმა მოიგო მომხმარებელთა გული.
- (ბ) ვერცერთმა უხარისხო პროდუქტმა მომხმარებელთა გული ვერ მოიგო.
- (გ) თუ პროდუქტმა მომხმარებელთა გული ვერ მოიგო, მაშინ ის უხარისხოა.
- (დ) არსებობს უხარისხო პროდუქტი, რომელმაც მომხმარებელთა გული მოიგო.
- (ე) არ არსებობს ხარისხიანი პროდუქტი, მომხმარებელთა გული რომ არ მოეგო.

2. ფესტივალზე სულ ხუთი სიმღერა – ნანა, ოდოია, სატრფიალო, ურმული და ჩელა – თითოჯერ შესრულდა. ცნობილია, რომ:

- ოდოია უშუალოდ ჩელას შემდეგ არ შეუსრულებიათ.
- ჩელასა და ნანას შესრულებებს შორის ორი სიმღერა შეასრულეს.
- ნანასა და სატრფიალოს შესრულებებს შორის სამი სიმღერა შეასრულეს.
- სატრფიალო უფრო ადრე შეასრულეს, ვიდრე ჩელა.

ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი?

- (ა) ნანა პირველი სიმღერა იყო, ურმული – მეორე.
- (ბ) ოდოია მეორე სიმღერა იყო, ურმული – მესამე.
- (გ) სატრფიალო პირველი სიმღერა იყო, ჩელა – მესამე.
- (დ) ურმული მესამე სიმღერა იყო, ნანა – მეხუთე.
- (ე) ჩელა მეოთხე სიმღერა იყო, ოდოია – მეხუთე.

3. მოცემულია ინფორმაცია ელექტრონული ტესტირების სისტემის შესახებ:

*სწორი პასუხების დაფიქსირებისათვის ყოველთვის აუცილებელი იყო, რომ კანდიდატებს შეძლებოდათ ფორმულების აკრეფა. ეს კი მხოლოდ იმ კანდიდატებს შეეძლოთ, რომლებმაც სპეციალური კურსი გაიარეს.*

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) კანდიდატს სპეციალური კურსი გავლილი რომ ჰქონოდა, მაშინ ის ვერ შეძლებდა სწორი პასუხების დაფიქსირებას.
- (ბ) კანდიდატს სპეციალური კურსი გავლილი რომ ჰქონოდა, მაშინ ის შეძლებდა სწორი პასუხების დაფიქსირებას.
- (გ) კანდიდატს სპეციალური კურსი გავლილი რომ არ ჰქონოდა, მაშინ ის ვერ შეძლებდა სწორი პასუხების დაფიქსირებას.
- (დ) თუ კანდიდატმა ვერ შეძლო სწორი პასუხების დაფიქსირება, მაშინ მას სპეციალური კურსი გავლილი ჰქონია.
- (ე) თუ კანდიდატმა ვერ შეძლო სწორი პასუხების დაფიქსირება, მაშინ მას სპეციალური კურსი გავლილი არ ჰქონია.

4. კვლევებმა აჩვენა, რომ სპორტსმენთა სპეციალური საკვები იმავე ინგრედიენტებს შეიცავს, რასაც ჩვეულებრივი საკვები პროდუქტები. ამასთან, სპეციალური საკვების ფასი რამდენიმეჯერ აღემატება ჩვეულებრივი საკვების ფასს. შესაბამისად, ის, რომ სპორტსმენები სპეციალურ საკვებს ყიდულობენ, მხოლოდ მარკეტინგული კამპანიის შედეგია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი შეასუსტებს მოცემული მსჯელობის მართებულობას?

- (ა) ამ სპეციალურ საკვებს თითქმის ყველა სპორტსმენი მოიხმარს.
- (ბ) ეს სპეციალური საკვები მოსახერხებელი შეფუთვითა და სწრაფი მონელებით გამოირჩევა.
- (გ) ეს სპეციალური საკვები, ჩვეულებრივი საკვებისგან განსხვავებით, სპეციალიზებულ მაღაზიებში იყიდება.
- (დ) ეს სპეციალური საკვები გემოთი თითქმის ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ჩვეულებრივი საკვები.
- (ე) ამ სპეციალური საკვების მწარმოებელთა განცხადებით, ჩვეულებრივი საკვები არ არის საკმარისი სპორტსმენტათვის.

5. ცნობილია, რომ:

ნიკა მზარეულის შეგირდია. ის მუდამ დამოუკიდებლად ამზადებს სტანდარტულ კერძებს, თუმცა, საფირმო კერძების მომზადებისას მას აუცილებლად ეხმარება მარი ან კოტე.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- I. თუ ნიკა კერძს დამოუკიდებლად ამზადებს, მაშინ ეს კერძი არ არის საფირმო.
- II. თუ ნიკა კერძს ამზადებს, მაშინ მას ეხმარება მარი ან კოტე.
- III. თუ ნიკა საფირმო კერძს ამზადებს, მაშინ მას მარი ეხმარება.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ I და III

6. ხუთი ფილმის – A, B, C, D და E – საპრიზო შანსების შესახებ ოთხი კრიტიკოსიდან თითოეულმა ორი ვარაუდი გამოთქვა:

I კრიტიკოსი: A მიიღებს პრიზს. B ვერ მიიღებს პრიზს.

II კრიტიკოსი: E მიიღებს პრიზს. D ვერ მიიღებს პრიზს.

III კრიტიკოსი: B მიიღებს პრიზს. C ვერ მიიღებს პრიზს.

IV კრიტიკოსი: D მიიღებს პრიზს. A-ც მიიღებს პრიზს.

თითოეული კრიტიკოსის მხოლოდ ერთი ვარაუდი გამართლდა და პრიზი მხოლოდ ორმა ფილმმა მიიღო. რომელია ეს ორი ფილმი?

(ა) A და B

(ბ) A და C

(გ) B და E

(დ) C და D

(ე) D და E



7. მოცემულია მსჯელობა:

*ბოლო სამ წელიწადში უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა. უნდა დავასკვნათ, რომ ამავე პერიოდში ამ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობაც შემცირდა.*

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია დაშვებული ისეთი ლოგიკური შეცდომა, რომელიც ყველაზე მეტად მსგავსია მოცემულ მსჯელობაში დაშვებული ლოგიკური შეცდომის?

(ა) წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა ხელფასების ჯამი გაიზარდა. უნდა დავასკვნათ, რომ ამავე პერიოდში ამ კომპანიის დირექტორის ხელფასიც გაიზარდა.

(ბ) ბოლო სამი წლის განმავლობაში ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა. უნდა დავასკვნათ, რომ ამ პერიოდში სოფლის მოსახლეობაც უნდა გაზრდილიყო.

(გ) აბიტურიენტმა მოსამზადებელ მასალაში არსებული თითოეული დავალება ამოხსნა. შესაბამისად, ის გამოცდაზე მოსული თითოეული დავალების ამოხსნას შეძლებს.

(დ) ბოლო სამ წელიწადში ინფლაცია წლიურ 5%-ს არ აღემატებოდა. შესაბამისად, მომდევნო წელსაც ინფლაციის მაჩვენებელი 5%-ზე მეტი არ იქნება.

(ე) საეთერო ბადის დასაბალანსებლად ტელევიზია ყველა ჟანრის გადაცემას უშვებს. უნდა დავასკვნათ, რომ ეს ტელევიზია სპორტულ გადაცემებსაც უშვებს.

8. რაც უფრო დიდია მანქანების მოძრაობის სიჩქარე, მით მეტია ავტოავარიების შედეგად მძიმედ დაშავების რისკი. მარჯვენა სანაპიროზე მოძრაობის დასაშვები სიჩქარე საგრძნობლად მეტია მარცხენა სანაპიროზე მოძრაობის დასაშვებ სიჩქარეზე. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ მძიმედ დაშავებულთა რაოდენობა მარცხენა სანაპიროზე მომხდარ ავტოავარიებში ბევრად ნაკლებია, ვიდრე მარჯვენაზე.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი შეასუსტებს პირობაში მოცემული ვარაუდის მართებულობას?

- (ა) მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე დაახლოებით თანაბარი რაოდენობის მანქანები მოძრაობს.
- (ბ) მარცხენასაგან განსხვავებით, მარჯვენა სანაპიროზე ინტენსიური მოძრაობის გამო მუდამ საცობებია.
- (გ) მარჯვენა სანაპიროზე ცალმხრივი მოძრაობაა, ხოლო მარცხენაზე – ორმხრივი.
- (დ) მარჯვენასაგან განსხვავებით, მარცხენა სანაპიროს ორივე მხარეს გააჩნია უსაფრთხოების ზოლი.
- (ე) მარცხენა სანაპიროზე გზის სავალი ნაწილი ორჯერ უფრო ფართოა, ვიდრე მარჯვენაზე.

9. პროკურორი: „თუ ექვმიტანილი დამნაშავეა, მაშინ მას თანამზრახველი ჰყავდა.“

რომელი ფაქტის სისწორის შემთხვევაში დასტურდება ექვმიტანილის უდანაშაულობა?

- (ა) პროკურორის ნათქვამი სიმართლეა; ამასთან, დამნაშავე მხოლოდ ერთი იყო.
- (ბ) პროკურორის ნათქვამი სიმართლეა; ამასთან, დამნაშავე რამდენიმე იყო.
- (გ) თუ ექვმიტანილი დამნაშავეა, მაშინ მას თანამზრახველი არ ჰყავდა.
- (დ) პროკურორის ნათქვამი ტყუილია; ამასთან, დამნაშავე მხოლოდ ერთი იყო.
- (ე) პროკურორის ნათქვამი ტყუილია; ამასთან, დამნაშავე რამდენიმე იყო.

*შენიშვნა: ცხადია, იგულისხმება, რომ დამნაშავეს თითოეული თანამზრახველი ასევე დამნაშავეა.*

10. ერთ-ერთი აფთიაქის მარაგების შესახებ ცნობილია, რომ:

- ყველა ამერიკული ბინტი სტერილურია, ხოლო ევროპულ ბინტაგან მხოლოდ ზოგიერთია სტერილური.
- არცერთი სტერილური ბინტი არ არის ელასტიკური.
- ყოველი არასტერილური ბინტი ელასტიკურია.

ამ აფთიაქის მარაგების შესახებ, ჩამოთვლილ დასკვნათაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთი ელასტიკური ბინტი სტერილურია.
- (ბ) არცერთი ელასტიკური ბინტი არ არის ევროპული.
- (გ) თუ ბინტი სტერილური არ არის, მაშინ ის ევროპულია.
- (დ) ზოგიერთი ბინტი არც ამერიკულია, არც – ევროპული.
- (ე) არცერთი ელასტიკური ბინტი არ არის ამერიკული.

11. მოცემულია მსჯელობები:

- I. ცნობილია, რომ ჩვენს თითოეულ პილოტს სამხედრო ან სამოქალაქო ავიაციაში ფრენის გამოცდილება აქვს. თუმცა, სამოქალაქო ავიაციაში ფრენის გამოცდილების მქონე არცერთი ჩვენი პილოტი არ დაფრინავს შვეულმფრენით. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს თითოეულ პილოტს, რომელიც შვეულმფრენით დაფრინავს, სამხედრო ავიაციაში ფრენის გამოცდილება აქვს.
- II. მუზეუმის საჩუქრად მიღებულ ექსპონატთაგან არცერთი არ არის ფერწერის ნიმუში. შესაბამისად, რადგან ამ მუზეუმის მიერ შეძენილ ექსპონატთაგან თითოეული არის კერამიკა, მას ვერ ექნება ფერწერის ვერცერთი ნიმუში, მისი ყველა ექსპონატი არის კერამიკა.
- III. ონლაინ მაღაზიაში წარმოდგენილი ვერცერთი მანქანა ვერ იქნება „ჰაიაკტოს“ სალონიდან, რადგან ამ სალონის თითოეული მანქანა სპორტულია, ხოლო ონლაინ მაღაზიაში წარმოდგენილი არცერთი მანქანა არ არის სპორტული.

მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

- (ა) მხოლოდ III
- (ბ) მხოლოდ I და II
- (გ) მხოლოდ I და III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) თითოეული

*ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:*

ტუროპერატორმა ჩაატარა კვლევა ტაილანდის ექვს კუნძულზე – აპო, ბორაკაი, ლუსონი, მალაპასკუა, პალავანი, სებუ – ვიზიტების თაობაზე. ტურისტების შესახებ დადგინდა შემდეგი ფაქტები:

- ვინც ნამყოფია ბორაკაიზე, ნამყოფია პალავანზეც.
- ვინც ნამყოფია მალაპასკუაზე, ნამყოფია ბორაკაიზეც.
- ვინც არ არის ნამყოფი სებუზე, ის ნამყოფია აპოზე.
- ვინც ნამყოფია პალავანზე, ის არ არის ნამყოფი არც აპოზე და არც ლუსონზე.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს იმ კუნძულების სრული სია, რომლებზეც ერთ-ერთი ტურისტი არის ნამყოფი?

- (ა) აპო, ბორაკაი, ლუსონი, მალაპასკუა.
- (ბ) აპო, ბორაკაი, პალავანი.
- (გ) აპო, ლუსონი, მალაპასკუა, სებუ.
- (დ) ბორაკაი, მალაპასკუა, პალავანი.
- (ე) ბორაკაი, პალავანი, სებუ.

13. თუ რომელიღაც ტურისტი არ არის ნამყოფი სეზუზე, მაშინ ხსენებული კუნძულებიდან მაქსიმუმ რამდენზე შეიძლება იყოს ის ნამყოფი?

- (ა) ერთზე
- (ბ) ორზე
- (გ) სამზე
- (დ) ოთხზე
- (ე) ხუთზე

14. თუ ერთ-ერთი ტურისტი იყო ლუსონზე, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) ის იყო აპოზე.
- (ბ) ის იყო ბორაკაიზე.
- (გ) ის იყო პალავანზე.
- (დ) ის არ იყო მალაპასკუაზე.
- (ე) ის არ იყო სეზუზე.

*ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:*

ოთხმა მეგობარმა – რობომ, სარამ, უჩამ და ტატამ – კაფეში რიგრიგობით სხვადასხვა სასმელი – ამერიკანო, ესპრესო, ლატე და მოკა – შეუკვეთა, თითომ – თითო. ცნობილია, რომ:

- პირველი შეკვეთა იყო ესპრესო.
- თუ სარამ მოკა შეუკვეთა, მაშინ რობომ შეუკვეთა ლატე.
- თუ ტატამ არ შეუკვეთა ამერიკანო, მაშინ უჩამ არ შეუკვეთა მოკა.
- რობომ ტატაზე ადრე შეუკვეთა, მათ შეკვეთებს შორის კი მხოლოდ მოკა შეუკვეთეს.

15. ჩამოთვლილთაგან რომელში შეიძლება იყოს მოცემული მართებულად და სწორი მიმდევრობით მეგობრების შეკვეთები?

- (ა) რობო–ესპრესო, სარა–მოკა, ტატა–ლატე, უჩა–ამერიკანო.
- (ბ) სარა–ესპრესო, რობო–ამერიკანო, უჩა–მოკა, ტატა–ლატე.
- (გ) რობო–ესპრესო, უჩა–ლატე, სარა–ამერიკანო, ტატა–მოკა.
- (დ) უჩა–ესპრესო, რობო–ლატე, სარა–მოკა, ტატა–ამერიკანო.
- (ე) რობო–ლატე, სარა–მოკა, ტატა–ესპრესო, უჩა–ამერიკანო.



16. რომელია ის მეგობარი, ვისზეც შესაძლებელია ცალსახად ითქვას, თუ რა სასმელი შეუკვეთა მან?

- (ა) რობო
- (ბ) სარა
- (გ) ტატა
- (დ) უჩა
- (ე) არცერთი

17. რომელი პირობა არ იქნება საკმარისი იმის დანამდვილებით დასადგენად, თუ რა სასმელი შეუკვეთა თითოეულმა?

- (ა) პირველი შეკვეთა რობოსი იყო.
- (ბ) პირველი შეკვეთა სარასი იყო.
- (გ) პირველი შეკვეთა უჩასი იყო.
- (დ) ბოლო შეკვეთა სარასი იყო.
- (ე) ბოლო შეკვეთა ტატასი იყო.

# ტესტის დასასრული